

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო და  
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტისაშორისი  
№512 “საგზაო დეპარტამენტის” მოკლე ისტორია**

რკინიგზების მშენებლობის და სალიანდაგო მეურნეობის, ხიდების, საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის სპეციალობებით სტუდენტების მომზადება დაიწყო 1917 წელს გახსნილ თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1924 წელს აღნიშნული ინსტიტუტი შეუერთდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. სადაც პოლიტექნიკური ფაკულტეტის ბაზაზე გაგრძელდა ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალობებით საინჟინრო კადრების მომზადება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 1930 წელს გამოეყო და დამოუკიდებელ ინსტიტუტებად ჩამოყალიბდა მიმოსვლის გზათა ამიერკავკასიის ინჟინერთა ინსტიტუტი და ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი. 1934 წელს მიმოსვლის გზათა ამიერკავკასიის ინჟინერთა ინსტიტუტს გადაერქვა სახელი და ეწოდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი, სადაც მზადდებოდა საინჟინრო კადრები ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალობებით გარდა საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობისა, რომლის სპეციალსტების მომზადება გრძელდებოდა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტში. ამ ინსტიტუტს 1947 წელს დაერქვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1948 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში შეიქმნა სატრანსპორტო გვირაბების კათედრა.

1959 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტს შეუერთდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალობები გაერთიანდა სატრანსპორტო ფაკულტეტის შემადგენლობაში.

წლების განმავლობაში ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალობების კათედრებს ხელმძღვანელობდნენ აკადემიკოსი კ. ზავრივეი, გენერალი გ. კობახიძე, პროფე-

სორები ე. სეხნიაშვილი, მ.იაკუბოვიჩი, მ.დანდუროვი, ვ.სლოვინსკი, გ.ქარცივაძე, ა.დაუშვილი, გ.კიზირია, თ.ჭურაძე, ი.ანდრონიკაშვილი, ზ.ბიჭვინაშვილი, ვ.გოგლიძე, ა.ბურდულაძე, ნ.გვარამაძე, პ.სოლოვიოვი, მ. ეზიაშვილი, ნ.როინიშვილი, ვ.გურგენიძე, ა.შალამბერიძე, ა.კონიაშვილი, ე.მოისწრაფიშვილი.

სამშენებლო, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთაშორისი საგზაო დეპარტამენტი დაარსდა 2011 წელს, რკინიგზების მშენებლობის, ხიდებისა, სატრანსპორტო გვირაბების, საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის კათედრების ბაზაზე. დეპარტამენტს ამჟამად ხელმძღვანელობს პროფესორი ნ.რურუა. დეპარტამენტი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური და სამეცნიერო კადრებით. ამჟამად დეპარტამენტში სასწავლო პროცესს და საცმენიერო-კვლევით სამუშაოებს ემსახურება 8 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ პროფესორი, 1 ასისტენტი, 2 პროფესორ-ემერიტუსი. ყველა მათგანი დეპარტამენტის აღზრდილია.

საგზაო დეპარტამენტი ამზადებს ქვეყნისათვის მეტად საჭირო სპეციალისტებს: რკინიგზების, საავტომობილო გზების, აეროდრომების, ხიდებისა და სატრანსპორტო გვირაბების მშენებლობისა და ექსპლუატაციის განხრით. წარმატებული კურსდამთავრებულები დასაქმებულია სპეციალობის მიხედვით. წლების მანძილზე გამოშვებულია ამ სპეციალობების ექვსი ათასზე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტი. მომზადებულია რამოდენიმე ათეული დოქტორი და მაგისტრი.

დეპარტამენტის კვლევის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს რთულ ბუნებრივ პირობებში რკინიგზების, მათ შორის ვიწროლიანდიანი რკინიგზების, საავტომობილო გზების, აეროდრომების და ხელოვნური ნაგებობების დაპროექტება და საქართველოს პირობებისათვის მისი ნორმატიულ-ტექნიკური ბაზის შექმნა; სახაზო ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობის, მოწყობის და ექსპლუატაციის ნორმატიულ-ტექნიკური ბაზის შემუშავება.

საგზაო დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები წარმატებით მონაწილეობენ ისეთი საერთაშორისო და სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტების განხორციელებასა და ექსპერტიზებში, როგორებიცაა: საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ავტომაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი

გზების პროექტები; რკინიგზებზე და საავტომობილო გზებზე ხიდების, გვირაბების და სხვა ხელოვნური ნაგებობების დაპროექტება, გამოკვლევა და გამოცდა; საერთაშორისო ავტომაგისტრალის E-60-ის ნატახტარი-ხაშურის, ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთების დაპროექტება, თბილისი-ბათუმის რკინიგზის რებილიტაციის პროექტი, ყარსი-ახალქალაქის საერთაშორისო რკინიგზის დაპროექტება, ექსპერტიზა და მშენებლობა და სხვა.

საგზაო დეპარტამენტში მოღვაწეობენ პროფესორები, რომელთაც აქვთ უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში და საკვლევ ინსტიტუტებში პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე.

საგზაო დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები სისტემატურად მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენციებში და სიმპოზიუმებში, აქვეყნებენ მეცნიერულ სტატიებს საერთაშორისო და საქართველოს ჟურნალებში; მუდმივად მიმდინარეობს ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების განახლება და ახალი სახელმძღვანელოების შედგენა. გამოცემული აქვთ მონოგრაფიები; გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი “ტრანსპორტი”. დეპარტამენტის ბაზაზეა ჩამოყალიბებული თვითდაფინანსებაზე მყოფი „სარკინიგზო ინფრასტრუქტურის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი“, რომელიც ძირითადად ეწევა საექსპერტო საქმიანობას.